**ადრესატი:**

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31233072**
თარიღი: **03/11/2023**

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ მოსახლეობასთან წლიური ანგარიშის წარდგენა**

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 2 ნოემბერი, 2023 წელი, 12 საათი.

შეხვედრას ესწრებოდნენ: ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაკა მშვიდობაძე, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე გოჩა ჯანაშია, ფრაქიის წევრი ჯუმბერ ბლაგიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში) ლაშა სარჯველაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ნანა წილოსანი.

ფრაქციის წევრები მიესალმნენ და მადლობა გადაუხადეს მოწვეულ სტუმრებს და გააცნეს ფრაქციის მიერ გაწეული წლიური ანგარიში. კერძოდ:

ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ შემადგენლობაშია 3 წევრი, აქედან ორი არის პარტია „საქართველოსთვის“ წევრი, ხოლო ერთი პარტია „ლელოს“ წარმომადგენელი.

2023 წელს ფრაქციამ ჩაატარა 7 სხდომა.

ფრაქციის სხდომებზე სხვადასხვა დროს ინიცირებული და განხილული იქნა არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი, მათ შორის:

ქალაქ ლანჩხუთის საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება;

მუნიციპალური შიდა ტრანსპორტის მოწესრიგება;

სოფლების შიდა გზების და სანიაღვრე არხების რეაბილიტირება;

საყანე ფართობებთან მისასვლელი გზების აღდგენა;

ტერიტორიულად დაჭაობების საფრთხის წინაშე არსებული ტერიტორიების სამელიორაციო სამუშაოების ჩატარება;

ა(ა)იპი-ების თანამშრომელთა ხელფასების მოწესრიგება;

სოფლებისთვის ხვნა-თესვისთვის აუცილებელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით უზრუნველყოფის ხელშეწყობა;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული უსახური შენობების დემონტაჟი;

სოფლის ბიბლიოთეკების შენობა-ნაგებობებისა და ფუნქციების მოწესრიგება;

ქ. ლანჩხუთში ურუშაძის ქუჩაზე გაუმართავი კანალიზაციის სისტემის მოწესრიგება და ქუჩის ინფრასტრუქტურის მოწყობა;

სოფელ სუფსაში „უნაგირასა და ხიდმაღალას“ უბნებში სანიაღვრე არხებისა და შიდა გზების მოწესრიგება;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სარკინიგზო სადგურებისა თუ ბაქნების რეაბილიტაციის მოთხოვნა რკინიგზის დეპარტამენტის მიმართ;

ტერიტორიულ ერთეულებში წყლის სისტემების რეაბილიტირება;

ლანჩხუთის საფეხბურთო აკადემიის ფუნქციონირების აღდგენა.

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ მიერ შემუშავებული ინიციატივები:**

**1. ქალაქ ლანჩხუთის კანალიზაციის შემკრები - გამწმენდი კოლექტორის მშენებლობა;**

**2. შიდა სამგზავრო ტრანსპორტის რეგულირება;**

**3. მუნიციპალური ა(ა) იპ-ების თანამშრომელთა ხელფასების მატება.**

**4. 2024 წლის ადგილობრივ ბიუჯეტის ფორმირების პროცესში ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვის დროს, პრიორიტეტულად გასათვალისწინებელი მდინარეების, ხევების კალაპოტების გაწმენდითი და ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება, განსაკუთრებით მაღალი რისკის ზონაში არსებულ დასახლებაში.**

მოქალაქე **კლარა კუტუბიძემ** აღნიშნა, რომ სუფსაში, კერძოდ უნაგირას უბანში წლებია არ არის წყალი, შუქი, გზა, გარე განათება, ასევე წვიმის დროს იტბორება საცხოვრებელი სახლების მიმდებარე ტერიტორია.

მოქალაქე **გრიგოლ კვაჭაძეს,** რომელსაც აქვს ფსიქოლოგიური პრობლემა, შეჩერებული აქვს სოციალური სტატუსი და ესაჭიროება დახმარება.

მოქალაქე **ნანა მურვანიძემ** აღნიშნა, რომ სოფელ ჯურუყვეთში დგას გზის, სასმელი წყლისა და გაზიფიცირების პრობლემა.

მოქალაქე **დათო დობორჯგინიძის** თქმით ,,სოფლის პროგრამით“ გამოყოფილი თანხა არასწორად ნაწილდება სოფლებზე და ინფრასტრუქტურული სამუშაოები სრულდება უხარისხოდ. მან ასევე აღნიშნა, რომ წლებია მერიიდან ელოდება ნებართვას მისი საცხოვრებელი სახლის წინ არსებული ხეების გადაბელვის თაობაზე, რაზეც პასუხი დღემდე არ მიუღია.

შეხვედრის ბოლოს, ფრაქციის წევრებმა, მადლობა გადაუხადეს მოწვეულ სტუმრებს.

მაკა მშვიდობაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის"-საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის" თავმჯდომარე